

ინფორმაციის გაზოვნის პროცესის არობდება თანამდებობები

ჯემალ ნიკურაძე, ვახტანგ მელაძე, ვახტანგ კვინტრაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ადამიანის გონიერივ შესაძლებლობათა შეფასება განსაკუთრებულად აქტუალური გახდა XIX საუკუნის მე-2 ნახევარში. პირველი გამოკვლევები ეკუთვნის ინგლი სელ ფრენსის გალტონს, რომელიც აღიარებულია ემპირიული მიდგომის ფუძემდებლად ინტელექტის პრობლემის შესწავლაში. მოცუმულ ნაშრომში განხილულია ყველაზე გავრცელებული პროცესის შედეგები, მიძღვნილი აღნიშნული პრობლემისადმი. ამჟამად, ყველაზე წარმატებულად ითვლება ლ. პენროუზისა და ჯ. რავენის მიერ შექმნილი „რავენის პროგრესული მატრიცების“ მეთოდი. ი.ვ. უსელცოვას კვლევებით (2006), ნაჩვენებია მისი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით.

საკანონი სიტყვები: ინტელექტის კოუფიციენტი. ტესტური ნორმები. პროგრესული მატრიცები.

1. შესავალი

დველთაგანვე ადამიანის ნიჭიერების შეფასების საშუალებად გამოიყენებოდა განსაკუთრებული ტესტები. მაგალითისათვის, ძველ გეგმისტები ქურუმის ხელოვნების შესასწავლად მხოლოდ იმ პირებს აძლევდნენ უფლებას, ვინც გაივლიდა განსაკუთრე ბულ გამოსაცდელ სისტემას. ადამიანის გონიერივი შესაძლებლობების გაზომვა განსა კუთრებულად აქტუალური გახდა XIX საუკუნის ბოლოს. მეცნიერული თვალსაზრისით ინტელექტის გამოკვლევა პირველმა დაიწყო ინგლისელმა ფრენსის გალტონმა, რომელიც მიჩნეულია ემპირიული მიდგომის ფუძემდებლად ინტელექტის პრობლემის შესწავლაში მან პირველმა დასვა ინტელექტის გაზომვის საკითხი სენსორული განსხვავების უნარით.

გალტონი თვლიდა, რომ მაღალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს გააჩნდათ მაღალი ინტელექტი სხვებთან შედარებით. ლონდონის გამოფენის მრავალ ათას მნახველს მან ჩაუტარა სხვადასხვა გაზომვები (სიმაღლე, თავის გარშემოწერილობა, ფეხის ზომა ...) და გამოცდები (სხვადასხვა ტესტები მხედველობის აღქმაზე და ღონისძიებაზე...) მის გასაკვირვად, ამ მონაცემებით გამოჩენილი ადამიანები, მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლები არ განსხვავდებოდნენ უბრალო მოკვდავებისაგან.

გალტონის იდეები შემდგომში განავითარა ამერიკელმა ქ. კეტელმა. მან დაამუშავა განსაკუთრებული მენტალური ტესტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ რეფლექსების სისწრაფეს, რეაქციის დროს, გარკვეული გამლიზიანებლების აღქმის დროს და ა.შ. ამ ტესტების საშუალებით მან განსაზღვრა რეაქციის პარამეტრები სხვადასხვა ძალის გამდიზანებლებზე და ისინი წარმოადგინა გრაფიკულად, რომელსაც გააჩნდა ზოგიერთი ფიზიკური და ქიმიური მაჩვენებლების განაწილების მრუდების მსგავსი ზარისებრი ფორმა.

ინტელექტის შეფასების მიზნით კეტელის მიერ სხვადასხვა ტესტებით მიღებული განაწილების შედეგები გამოყენებულ იქნა პიროვნების და აგრეთვე მოსახლეობის ინტელექტის დონის შესაფასებლად.

ამრიგად შეფასების საშუალო დონიდან ერთ მხარეს აღმოჩნდნენ „ჩამორჩენილები“, ხოლო მეორე მხარეს - ძლიერ ნიჭიერები.

2. ძირითადი ნაწილი

მეცნიერთა უმრავლესობა კრიტიკულად განეწყო გალტონის და კეტელის „ჭკუის გაზომვის“, გამოკვლევების მიმართ, ისინი თვლიდნენ, რომ მათი კვლევები ეყრდნობოდნენ ადამიანის

ელემტნტარულ ფინქურ პროცესებს და ამიტომ არააღექატურად ზომავდნენ უმაღლეს ფინქურ ფუნქციებს, რომლებიც წარმოადგენენ ინტელექტის საფუძველს.

აბინემ და ტ.სიმონმა შექმნეს საკუთარი ტესტები ინტელექტის გასაზომად. ისინი ამ თვისებას უფრო უართოდ განიხილავდნენ, ორინტირდებოდნენ ბავშვის განვითარების დონეზე და უფრო რთული შემეცნებით ფუნქციებზე (მახსოვრობა, გათვიცნობირება, გაგება...) მათი აზრით პიროვნების ინტელექტი მით მეტია, რაც უფრო სწორად ესმის, ფიქრობს და ეგუება ის ცხოვრების პირობებს თავისი ჯანსაღი აზრით და ინიციატივო ბით.

მკლევარების წინაშე დაისვა კონკრეტული პრატიკული ამოცანა-განესაზღვრათ რომელი ბავშვი ისწავლიდა კარგად და რომელი ცუდად. შედეგად მიღწეულ იქნა მეთოდიკა, რომელშიც გონიეროვი განვითარების მაჩვენებლები ძლიერ კორელირებდნენ სკოლის მოსწრებასთან.

გალტონისგან განსხვავებით ბინე ცნობდა გარემოს გავლენას შემეცნებით განვითარებაზე, ამიტომ ინტელექტუალური მონაცემები მის მიერ ფასდებოდა სოციალური გამოცდლილების ათვისების დონით. ასეთი მოდგომით ბინემ შეიმუშავა ბავშვების დიაგნოსტიკისათვის ასაკობრივი სისტემის სკალა. მან შექმნა ტესტური დავალებები ასაკობრივი ჯგუფებისათვის. დავალებების რაოდენობით, რომელსაც შეასრულებდა ბავშვი, ის ადგენდა ინტელექტუალობის განვითარების ასაკს. ასეთი მიდგომით შედგენილი იქნა ტესტების სერია ყოველი ასაკობრივი ჯგუფისათვის. ამოხსნილი ტესტური დავალებების მიხედვით, რომელსაც ასრულებდა ბავშვი, განისაზღვრებოდა მისი ინტელექტუალური განვითარების დონე-გონიეროვი ასაკი, ანუ გონიეროვი განვითარების მახასიათებელი ბინე-სიმონის სკალით. ბინეს წინადადებით ინტელექტის აბსოლუტურ ზომად განისაზღვრა სხვაობა გონიეროვი ასაკს (გ.ა.) და ქრონოლოგიურ ასაკს (ქ.ა.) შორის.

1912 წ. ვ. შტერნმა შემოიტანა „ინტელექტის“ კოუფიციენტის“ (IQ) ცნება, რომელსაც ის განსაზღვრავდა დამოკიდებულებით: $IQ = \text{გ.ა.}/\text{ქ.ა.} \cdot 100$.

მთელი რიცხვის მისაღებად ფარდობას ამრავლებენ 100, ცხადია, თუ მიღებული რიცხვი იქნებოდა 100, ეს ნიშნავდა, რომ გ.ა. -ს მნიშვნელობა ემთხვეოდა ქ.ა.-ს, ანუ ინტელექტუალური განვითარების ასაკი ემთხვეოდა სიცოცხლის ასაკს და წარმოადგენდა ინტელექტუალური განვითარების საშუალო დონეს.

შემდგომში დ. ვექსლერმა (1939) შეადგინა სპეციალური სტანდარტები ტესტებისათვის, რითაც მან არ გაიზიარა შტერნის (IQ) გაზომვის მეთოდი, თუმცა აღნიშნული ტერმინი შენარჩუნებული იქნა მისი ფართო გავრცელების გამო.

თანამედროვე მეცნიერებაში ინტელექტუალობის (IQ) კოეფიციენტის გაზომვა ვარაუდობს მოცემული გამოსაცდელის შედეგების შედარებას ტესტურ ნორმებთან. გამოსაცდელის ტესტური ნორმები-ყველაზე მნიშვნელოვანი სტატისტიკური მახასიათებლებია ნორმატიული ტესტირების ამორჩევისას. ტესტური ნორმები განსაზღვრავენ ნებისმიერი ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მაღალ, საშუალო და დაბალ დონეებს, მათ შორის ინტელექტისაც.

ინტერგალურ სკალაზე განაწილებას გააჩნია თავისი პარამეტრები. ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრებია მათემატიკური მოლოდინი, დისპერსია, ასიმეტრიისა და ექსცესების მაჩვენებლები. მათემატიკური მოლოდინის შეფასება განსაზღვრავს ტესტური მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკულს. დისპერსია გვიჩვენებს ნიშან-თვისების ცვალებადობის ხარისხს. კვადრატული ფესვი დისპერსიიდან წარმოადგენს სტანდარტულ გადახრას, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საშუალოდან გადახრა. ამ დროს არსებობს IQ გაზომვის პრიბლემა სტანდარტული გადახრის ერთეულებში, თუ ტესტური შეფასების ქულები არ ემთხვევა ნორმალურ განაწილებას. ხშირად ასეც ხდება ინტელექტის ებჰირიული გამოკვლევების დროს.

თანამედროვე განათლების სისტემაში ინდივიდის გონიეროვი პოტენციალის გამოსავლენად გამოიყენება ინტელექტის ტესტები. ჩვენ განვიხილავთ ყველაზე აქტუალურ ინტელექტის ტესტებს.

1. რ. ამტკაუერის ინტელექტის სტუქტურის ტესტი (Amthauer Intelli-genz – Struktur. Test.IST). ამტკაუერი პიროვნების მთლიან სტრუქტურაში ინტელექტს განიხილავდა, როგორც სპეციალიზირებულ ქვესტრუქტურას, შედგენილს სხვადასხვა ფაქტორებისაგან (სამეტყველო, თვლადი მათემატიკური, სიგრცითი წარმოსახვა, მნემონიკური). მისი ტესტი პრაქტიკულად განკუთვნილია ნებისმიერი ასაკის პიროვნების გამოსაცდელად (13-60 წწ). ამტკაუერის მიერ შემოტანილი იქნა მხოლოდ ასაკობრივი ნორმები. ის თვლიდა დამყარებულად კავშირს გამოსაცდელის ასაკსა და სოციალურ გამოცდილებას შორის. ამტკაუერის ტესტი შედგება 9 ქვეტექსტისაგან: ლოგიკური გადარჩევა, ზოგადი თვისებების განსაზღვრა, ანალოგიკი, კლასიფიკაცია, საანგარიშო დავალება, რიცხვთა მწკვრივი, ფიგურების არჩევა, დავალება კუბიკებით, დავალება ფურადღებაზე, რომელიც განსაზღრავს ინდუქციურ აზროვნებას, კომბინატორულ უნარს და სივრცობრივ წარმოსახვას.

2. ვექსლერის (WAIS) ინტელექტის გაზომვის სკალები (19 369-19 55) ისინი შეიცავს ორ სკალაზე გაყოფილ 11 ქვეტექსტს, რომლებიც შესაბამისად ზომავს ვერბალურ და არავერბალურ ინტელექტს. თვლიან, რომ არავერბალური ინტელექტი წარმოადგენს საერთო უნარიანობის შესაძლო ერთობლიობას თავისუფალს კულტურისა და განათლების გავლენისაგან, ხოლო ვერბალურ თავისუფალს კულტურისა და განათლების გავლენისაგან, ხოლო ვერბალური ინტელექტი - განვითარებად შემეცნებით ფისქურ ფუნქციას, პირდაპირ დამოკიდებულს კულტურის და განათლების გავლენაზე. ვექსლერის ტესტების ვერბალური სკალა შეიცავს ზოგად შეტყობინებათა, ზოგადი გაგების უნარიანობის ქვეტექსტებს, არითმეტიკულ ტესტს, ორი ცნების მსგავსობის დადგენის ტესტს, ციფრული მწკვრივების გამეორების და ლექსიკურ ტესტს. არავერბალური სკალა შეიცავს შემდეგ სუბტესტებს: ციფრების დაშიგვნის, მნელად საშოვნი დეტალების პოვნის, კოსას კუბიკების, სურათების მიმდევრობის და ფიგურების შედგენის.

3. ლპენროუზის და ქ. რავენის მიერ შემოტანილ იქნა (19 36წ) „რავენის სტანდარტული პროგრესული მატრიცები“, რომლებიც წარმოადგენენ ამოცანებს ასტრაქტულ ფიგურებს შორის კავშირების გამოვლენაში.

აღნიშნული მატრიცების მეთოდიკა შედგება 60 ტაბელისაგან-5 სერია 12 მატრიცით თითოეულ სესიაში.

- A - სერიაში დადგენილია ურთიერთკავშირის პრინციპის გამოყენება მატრიცების სტრუქტურაში.
- B - სერია აგებულია წყვილ ფიგურებს შორის ანალოგიის პრინციპით;
- C - სერია აგებულია პროგრესული ცვლილებების პრინციპით მატრიცის ფიგურებში;
- D - სერია აგებულია ფიგურების გადაჯგუფების პრინციპით მატრიცაში;
- E - სერია ეფუძნება ფიგურების ელემენტებად დაშლის პრინციპს.

4. ზოგად შესაძლებლობათა ტესტების სერია (GATB), შეიცავს ვერბალურ და პრაქტიკულ დავალებებს;

5. ინტელექტის კულტურულ-თავისუფალი ტესტ (CFIT), წარმოდგენილი რ. კეტელის მიერ 1958 წ. განკუთვნილი „სუფთა“ ინტელექტის გასაზომად. ეს მეთოდი შექნილია პერცეპტული დავალებების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტის ტესტების არჩევისას დიდი მნიშვნელობა გააჩნია კონკრეტული მეთოდიკის შესაძლებლობებს, კონკრეტული კვლევითი დავალების შესასრულებლად.

3. დასკვნა

ჩატარებულმა თანამედროვე კვლევებმა აჩვენა (ი.ვ. უსედიცოვა, 2006), რომ ინტელექტის ტესტებს შორის უკეთესი მახასიათებლები გააჩნია „რავენის პროგრესული მატრიცების“

, მეთოდიკით მიღებულ ტესტებს. სწორედ ეს მეთოდიკაა აღიარებული დღევანდელ დღეს მსოფლიოში. რ. ლინნის მიერ სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტების მონაცემების უმრავლესობა ამ მეთოდითაა შეგროვებული. სხვადასხვა ავტორების მონაცემებით „ რავენის პროგრესული მატრიცების „, მეთოდიკით მიღებული მონაცემების კორელაცია ინტელექტის სხვა ტესტებით მიღებულ შედეგებთან აღწევს 0,75, რაც მის მაღალ გასაზომ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

1. Бине А, Симон Т., Методы измерения умственной одаренности М., 1923
2. Усольцева И.В. Исследование интеллектуального потенциала России. М., 2006
3. Lynn R., Vanhanen T. YQ and the Wealth of Nations, Westport; 2002
4. Карпенко М.П. Телеобучение: М., 2008

THE PROBLEM OF MEASURING INTELLIGENCE IN MODERN EDUCATION

Nikuradze Jemal, Meladze Vakhtang, Kvintradze Vakhtang
Georgian Technical University

Summary

Measurement of mental abilities became relevant in the first half of the 19th century. The first study in this area belongs to Galton. Galton is considered the founder of the empirical approach to intelligence. Today according to I.V. Useltsova technique has the advantage of “Ravens Progressive Matrices” proposed by L. Perouzom and J. Raven

ПРОБЛЕМА ИЗМЕРЕНИЯ ИНТЕЛЛЕКТА В СОВРЕМЕННОМ ОБРАЗОВАНИИ

Никурадзе Дж.Г., Меладзе В.Д, Квинтадзе В.И.
Грузинский Технический Университет

Резюме

Измерения умственных способностей человека впервые стали актуальными во второй половине XIXв. Первое исследование принадлежит Ф.Гальтону, который считается основоположником эмпирического подхода проблемы интеллекта. На сегодня по данным И.В. Усельцовой (2006) для измерения интеллекта преимуществом обладает методика “Прогрессивные матрицы Равена”, предложенная Л.Пероузом и Дж. Равеном.